დანართი N1

ბრძანება N MOD 1 23 00000156 15.02.2023 ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ვრცელდება 2023 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდიის ოდენობა, გაცემის კრიტერიუმები და წესის (შემდგომში - სტიპენდიის წესი) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი სტიპენდიის ოდენობა და გაცემის წინაპირობები:

დამატებითი 300 ლარის ოდენობის სტიპენდიის გაცემის წინაპირობები		
სემესტრული რეიტინგული ქულა	**ფიზიკური მომზადების მინიმალური ჯამური ქულა**	**მინიმალური საკრედიტო ქულა**
95-100 ქულის ფარგლებში (A+)	**285 ქულა** შენიშვნა: იუნკერს უნდა ჰქონდეს ფიზიკური მომზადების თითოეულ ნორმატივში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) შემდეგი მინამალური ქულა - **95 ქულა**	90 საკრედიტო ქულა

დამატებითი 200 ლარის ოდენობის სტიპენდიის გაცემის წინაპირობები		
სემესტრული რეიტინგული ქულა	**ფიზიკური მომზადების მინიმალური ჯამური ქულა**	**მინიმალური საკრედიტო ქულა**
91-100 ქულის ფარგლებში (A)	**270 ქულა**	80 საკრედიტო ქულა

	შენიშვნა: იუნკერს უნდა ჰქონდეს ფიზიკური მომზადების თითოეულ ნორმატივში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) შემდეგი მინიმალური ქულა - **90 ქულა**	
დამატებითი 100 ლარის ოდენობის სტიპენდიის გაცემის წინაპირობები		
სემესტრული რეიტინგული ქულა	**ფიზიკური მომზადების მინიმალური ჯამური ქულა**	**მინიმალური საკრედიტო ქულა**
81-90 ქულის ფარგლებში (B)	**270 ქულა** შენიშვნა: იუნკერს უნდა ჰქონდეს ფიზიკური მომზადების თითოეულ ნორმატივში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) შემდეგი მინამალური ქულა - **90 ქულა**	80 საკრედიტო ქულა

შენიშვნა:

1. ამ დანართით განსაზღვრული **ფიზიკურ მომზადების ჯამური ქულა ნიშნავს**, ფიზიკური მომზადების სამივე ნორმატივში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებულ ქულათა ჯამს.

2. ამ დანართით განსაზღვრული **საკრედიტო ქულა ნიშნავს** იუნკერისთვის დისციპლინური წლის დასაწყისში მიცემულ 100 საკრედიტო ქულას, რომელიც მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მცირდება სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდებით დადგენილი ოდენობით.

3. ამ დანართით განსაზღვრული ფიზიკური მომზადების ქულას, სტიპენდიის წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიის სპორტისა და ფიზიკური მომზადების განყოფილება აკადემიის იუნკერთა სასწავლო ბატალიონთან შეთანხმებით, გადასცემს აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებას.

4. ამ დანართით განსაზღვრულ საკრედიტო ქულების შესახებ ინფორმაციას, სტიპენდიის წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიის შტაბის G3/G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებას აწვდის იუნკერთა სასწავლო ბატალიონი.
5. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლასა და იუნკერთა რანჟირებას ახორციელებს აკადემიის საგამოცდო ცენტრი.

6. ამ დანართით განსაზღვრული თითოეული ოდენობის დამატებითი სტიპენდია (300 ლარი; 200 ლარი ან 100 ლარი) გაიცემა იუნკერზე, **მხოლოდ** დადგენილი კრიტერიუმების (სემესტრული რეიტინგული ქულა, ფიზიკური მომზადების ჯამური ქულა, საკრედიტო ქულა) **ერთობლივად დაკმაყოფილების შემთხვევაში.**

7. ამ წესის მიზნებისთვის, სემესტრული რეიტინგული ქულის დაანგარიშება ხორციელდება აკადემიის საგამოცდო ცენტრის მიერ შესაბამისი ფორმულის მეშვეობით და იუნკერის მიერ მიღებული ქულა ექვემდებარება მთელ რიცხვამდე დამრგვალებას (მათემატიკური წესით).